საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო

საჯარო სამართლის იურიდიული პირი

გარემოს ეროვნული სააგენტო

ქ.თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზ. №150 ტელ.: +995 32 243 95 03; ფაქსი: +995 32 243 95 02

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

N 242/ს
08/08/2022

242-21-4-202208081354

ხარაგაულის მუნიციპალიტეტში, სოფ. ვერტყვიჭალაში, საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის საერთაშორისო მნიშვნელობის E60 ავტომაგისტრალის ბორითი - ხევის მონაკვეთის (F2) მშენებლობის პროექტის ფარგლებში, №15 სანაყაროს ნაპირდაცვითი (ნაპირსამაგრი) სამუშაოების განხორციელებაზე სკრინინგის გადაწყვეტილების შესახებ

საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის მიერ გზშ-ის ჩატარების საჭიროების დადგენის მიზნით სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოში წარმოდგენილია ხარაგაულის მუნიციპალიტეტში, სოფ. ვერტყვიჭალაში, მდ. ძირულას მარცხენა სანაპიროზე N15 ფუჭი ქანების სანაყაროს ნაპირდამცავი ნაგებობის (ფლეთილი ქვის კონსტრუქციის) მოწყობის სკრინინგის განცხადება.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, ნაპირსამაგრი სამუშაოების განხორციელება დაგეგმილია ხარაგაულის მუნიციპალიტეტში, სოფ. ვერტყვიჭალაში, მდ. ძირულას მარცხენა სანაპიროზე, საერთაშორისო მნიშვნელობის E60 ავტომაგისტრალის F2 მონაკვეთის (ბორითი-ხევი) მშენებლობის პროექტის ფარგლებში გათვალისწინებული N15 ფუჭი ქანების სანაყაროს ეროზიული პროცესებისაგან დასაცავად. საპროექტო ტერიტორიის საწყისი და საბოლოო წერტილის GPS კოორდინატებია: X-362142.9107, Y-4663351.2944; X-362637.0855, Y-4663137.3886. საპროექტო ტერიტორიიდან უახლოესი საცხოვრებელი სახლი დაშორებულია დაახლოებით 45 მ-ით.

სკრინინგის განცხადების თანახმად, ნაპირდაცვითი სამუშაოების ფარგლებში დაგეგმილია 622 მეტრი სიგრძის ნაპირდაცვითი ნაგებობის (ფლეთილი ქვის დამცავი კონსტრუქცია) მოწყობა. ნაპირსამაგრი ნაგებობის მოსაწყობად გამოყენებული ფლეთილი ქვების მოცულობა შეადგენს 16360 $მ^3$-ს, ხოლო თითოეული ქვის საშუალო დიამეტრი 2,08 მ-ს.

წარმოდგენილ დოკუმენტში მოცემულია მდ. ძირულას ჰიდროლოგიური მახასიათებლები. ნაპირსამაგრი ნაგებობა გაანგარიშებულია მდ. ძირულას ჰიდროლოგიური რეჟიმის გათვალისწინებით. მდინარის სიგრძეა 83 კმ, ხოლო წყალშემკრები აუზის ფართობი - 1270 $კმ^2$. დოკუმენტის თანახმად, 100 წლიანი მაქსიმალური ხარჯი, საპროექტო უბანზე, შეადგენს 445 $მ^3$/წმ-ს. მდ. ძირულას კალაპოტის ზოგადი გარეცხვის საშუალო სიღრმე შეადგენს 4,29მ-ს, ხოლო ზოგადი გარეცხვის მაქსიმალური სიღრმე ტოლია 6,45 მ-ის.

სკრინინგის განცხადების შესაბამისად, ნაპირდაცვითი სამუშაოების განხორციელების პროცესში გამოყენებული იქნება ექსკავატორი, ბულდოზერი და 3 ერთეული ავტოთვითმცლელი. ნაპირსამაგრი ნაგებობის მოწყობის სამუშაოები განხორციელდება ეტაპობრივად, 3 თვის განმავლობაში. ნაპირსამაგრი სამუშაოების განხორციელების პერიოდში სამშენებლო ბანაკის მოწყობა გათვალისწინებული არ არის. სამუშაოების პროცესში გამოყენებული ტექნიკა, დღის ბოლოს დაუბრუნდება დისლოკაციის ადგილს (საერთაშორისო მნიშვნელობის E60 ავტომაგისტრალის ბორითი - ხევის მონაკვეთის (F2) მშენებლობის პროექტის ფარგლებში გათვალისწინებული, N13 პარალელური ხიდების სამშენებლო ბანაკი), რომელიც ნაპირსამაგრი ნაგებობის საპროექტო ტერიტორიიდან დაშორებულია 220 მეტრი მანძილით. სამშენებლო სამუშაოების საწყის ეტაპზე დაგეგმილია ექსკავატორის მეშვეობით საპროექტო ტერიტორიის (მდინარის ფერდის) ზედაპირის მოსწორება და განივი კვეთის მქონე ტრანშეის მოწყობა. შემდგომ ამისა ნაპირსამაგრი ნაგებობისთვის, ავტომაგისტრალის სამშენებლო სამუშაოების პროცესში წარმოქმნილი ფუჭი ქანებიდან შერჩეული შესაბამისი ზომის ქვები ექსკავატორის მეშვეობით დაიტვირთება ავტოთვითმცლელებზე, შემოიტანება საპროექტო ტერიტორიაზე და განთავსდება წინასწარ მომზადებულ ადგილზე. ქვების ფენები განთავსდება ჰორიზონტალურად, იმგვარად, რომ თითოეულ ჰორიზონტალურ ფენაში, იყოს სულ მცირე 2 ფლეთილი ქვა, ერთ გრძივ მეტრზე გათვალისწინებულია 26,3 მ^3 მოცულობის ფლეთილი ქვის განთავსება.

წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, ნაპირდაცვითი სამუშაოების განხორციელებისას საპროექტო ტერიტორიაზე ემისიების სტაციონარული წყაროები გამოყენებული არ იქნება. ნაპირსამაგრი სამუშაოების ჩატარების პერიოდში ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვევა მოხდება მხოლოდ სამშენებლო ტექნიკის მუშაობის და ავტოტრანსპორტის მოძრაობის შედეგად. ასევე, უმნიშვნელო ამტვერება მოსალოდნელია ინერტული მასალების მართვის პროცესში, რასაც ექნება დროებითი ხასიათი და არსებით ზემოქმედებას ვერ მოახდენს გარემოს ფონურ მდგომარეობაზე. ნაპირსამაგრი სამუშაოების მასშტაბის და ხანგრძლივობის გათვალისწინებით (3 თვე), დაგეგმილი საქმიანობის ფარგლებში, ატმოსფერულ ჰაერზე მნიშვნელოვანი ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის.

სკრინინგის განცხადების მიხედვით, დაგეგმილი საქმიანობის ფარგლებში ხმაურისა და ვიბრაციის გავრცელების ძირითადი წყაროები იქნება ავტოტრანსპორტი და სამშენებლო ტექნიკა. ხმაურითა და ვიბრაციის გავრცელებით გამოწვეულ ზემოქმედებას ექნება დროებითი ხასიათი. ამასთან, ძლიერი ხმაურის გამომწვევი სამუშაოები განხორციელდება მხოლოდ დღის საათებში. შესაბამისად, ნაპირსამაგრი სამუშაოების განხორციელების პროცესში ხმაურით და ვიბრაციის გავრცელებით მოსალოდნელი ზემოქმედება საქმიანობის მასშტაბისა და ხანგრძლივობის გათვალისწინებით, არ იქნება მნიშვნელოვანი.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, ნაპირდაცვითი სამუშაოების განხორციელების პროცესში მდ. ძირულას წყლის დაბინძურების ძირითადი რისკები უკავშირდება გაუთვალისწინებელ შემთხვევებს, როგორიცაა: ნარჩენების არასწორი მართვა, ტექნიკისა და სატრანსპორტო საშუალებების გაუმართაობის გამო ნავთობპროდუქტების დაღვრა და სხვა. პროექტის ფარგლებში, მუდმივად შემოწმდება სამუშაოების დროს გამოყენებული ტექნიკისა და დანადგარების გამართულობა და გატარდება შესაბამისი ღონისძიებები. სკრინინგის განცხადების შესაბამისად, ნაპირსამაგრი სამუშაოების განხორციელება დაგეგმილია მდ. ძირულას წყალმცირობის პერიოდში, რაც იძლევა ტექნიკის წყალში ხანგრძლივად დგომის გარეშე ექსპლუატაციის საშუალებას.

სკრინინგის განცხადების შესაბამისად, ნაპირსამაგრი სამუშაოების განხორციელების ეტაპზე მოსალოდნელია მცირე რაოდენობით საყოფაცხოვრებო და სახიფათო ნარჩენების წარმოქმნა. საყოფაცხოვრებო ნარჩენები შეგროვდება შესაბამის კონტეინერებში და გატანილი იქნება მუნიციპალური სამსახურის მიერ ხელშეკრულების საფუძველზე, ხოლო სახიფათო ნარჩენები დროებით განთავსდება სამშენებლო მოედანზე, ცალკე გამოყოფილ სათავსოში და სამუშაოების დასრულების შემდგომ, გადაეცემა შესაბამისი ნებართვის მქონე კომპანიას. ნაპირდაცვითი სამუშაოების განხორციელების შემდგომ საპროექტო ტერიტორია მოწესრიგდება და აღდგება სანიტარული მდგომარეობა.

წარმოდგენილ დოკუმენტაციაში მოცემულია საპროექტო ტერიტორიის საინჟინრო-გეოლოგიური პირობები და ჩატარებული კვლევის შედეგები. საპროექტო ტერიტორია წარმოადგენს მდ. ძირულას მარცხენა ჭალისზედა ტერასას. ნაპირდაცვითი ნაგებობის საპროექტო ტერიტორიაზე საინჟინრო-გეოლოგიური კვლევის შედეგად მიღებული მონაცემების თანახმად, სანაყაროს განთავსების ტერიტორიაზე, ზედა, 4,5მ სისქის ფენა წარმოდგენილია ალუვიურ-დელუვიური გრუნტით, კერძოდ ქვიშნაროვან-თიხნაროვანი შემავსებლიანი კენჭნარითა და ხვინჭით. ნაპირდაცვითი სამუშაოების განხორციელების პროცესში არსებულ საინჟინრო-გეოლოგიურ პირობებზე ნეგატიური ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის.

სკრინინგის განცხადების თანახმად, საპროექტო ტერიტორიის სიახლოვეს არ მდებარეობს არქეოლოგიური ძეგლები, ჭარბტენიანი, დაცული და ტყით მჭიდროდ დაფარული ტერიტორიები, სადაც გაბატონებულია საქართველოს „წითელი ნუსხის“ სახეობები. საპროექტო ტერიტორიაზე ნიადაგის ნაყოფიერი ფენა და მაღალი ეკოლოგიური ღირებულების მცენარეული საფარი წარმოდგენილი არ არის. ანთროპოგენური დატვირთვის და მცენარეული საფარის სიმწირის გამო, საპროექტო ტერიტორიაზე ცხოველებისთვის ხელსაყრელი საბინადრო გარემო არ ფიქსირდება. შესაბამისად, დაგეგმილი საქმიანობის ფარგლებში ბიოლოგიურ გარემოზე მნიშვნელოვანი ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის.

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-7 მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად, სკრინინგის განცხადება გამოქვეყნდა სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე და გაიგზავნა ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიაში აღმასრულებელი ან/და წარმომადგენლობითი ორგანოს საინფორმაციო დაფაზე განთავსების მიზნით. ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე საზოგადოების მხრიდან აღნიშნულ საქმიანობასთან დაკავშირებით წერილობითი შენიშვნები და მოსაზრებები არ ყოფილა წარმოდგენილი.

სკრინინგის განცხადების შესწავლით დგინდება, რომ დაგეგმილი საქმიანობის სპეციფიკის, ადგილმდებარეობის, ხანგრძლივობისა და მასშტაბის გათვალისწინებით, გარემოზე მნიშვნელოვანი ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის.

ზემოაღნიშნული კრიტერიუმების გათვალისწინებით, „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-7 მუხლის მე-6 ნაწილის და ამავე კოდექსის II დანართის მე-9 პუნქტის 9.13. ქვეპუნქტის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. მიღებულ იქნეს სკრინინგის გადაწყვეტილება, რომ ხარაგაულის მუნიციპალიტეტში, სოფ. ვერტყვიჭალაში, საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის საერთაშორისო მნიშვნელობის E60 ავტომაგისტრალის ბორითი - ხევის მონაკვეთის (F2) მშენებლობის პროექტის ფარგლებში, №15 სანაყაროს ნაპირდაცვითი (ნაპირსამაგრი) სამუშაოების განხორციელება **არ დაექვემდებაროს** გარემოზე ზემოქმედების შეფასებას;
2. საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი ვალდებულია „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-7 მუხლის მე-8 ნაწილის შესაბამისად, უზრუნველყოს გარემოსდაცვითი ტექნიკური რეგლამენტებით დადგენილი მოთხოვნებისა და გარემოსდაცვითი ნორმების დაცვა;
3. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტს;
4. ბრძანება ძალაში შევიდეს საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
5. სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემიდან 5 დღის ვადაში გადაწყვეტილება განთავსდეს სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე და ხარაგაულის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ან/და წარმომადგენლობითი ორგანოს საინფორმაციო დაფაზე;
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. №6) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

თამარ ფიცხელაური

თ. ფიცხელაური

სააგენტოს უფროსი
სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო